



ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება:ბ80.80220591

თარიღი:28/02/2022

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მეხამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. დამტკიცდეს თანდართული „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია“ და „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სამოქმედო გეგმა“ (სტრატეგიული დოკუმენტები) თანდართულ მეთოდოლოგიასთან ერთად.
2. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, სამსახურებრივი სფეროების შესაბამისად და ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში შემავალ იურიდიულ პირებს, უზრუნველყონ თანდართული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
3. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი განხორციელდეს ყოველწლიურად, თანდართული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მონიტორინგის ანგარიშის მერისთვის წარდგენას ყოველი მომდევნო წლის 31 იანვრამდე უზრუნველყოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველმა მოადგილემ.
3. სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგის პროცესში ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა.
4. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სამოქმედო გეგმის განხორციელების და მონიტორინგის

კოორდინაციასე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი ზურაბი ხეცურიანი.

5. სტრატეგიული დოკუმენტები განახლდეს ორ წელიწადში ერთხელ.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ცაგერი, ასათიანის ქ. №14, 5100).

გიორგი ნემსაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

